

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგება	2
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი მიმოხილვა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. შეფასებების და დაშვებების გამოყენება	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	12
5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში	20
6. იჯარა.....	22
7. ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და მიწით სარგებლობის უფლება	23
8. სავაჭრო მოთხოვნები	25
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26
10. კაპიტალი.....	26
11. კრედიტორული დავალიანება.....	26
12. ფასს (IFRS) 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	27
13. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	28
14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	28
15. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში.....	28
16. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი	29
17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	29
18. პირობითი ვალდებულებები	30
19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ ხელმძღვანელობას და პარტნიორებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის და ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისა და ჯგუფისგან დამოუკიდებლები, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



**Building a better
working world**

კომპანიის და ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის და ჯგუფის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს კომპანიის და ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ოპერირება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ფუნქციონირებად საწარმოსთან და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების აღრიცხვის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს კომპანიის ან ჯგუფის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან გამოჩნდება ამის სხვა რეალური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგვემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა ჯგუფი და კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის და ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს-ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



**Building a better
working world**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ კომპანიის და ჯგუფის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებებში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „EY“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 8 ივნისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ ხელმძღვანელობას და პარტნიორებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიშგებისგან, და კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის და ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისა და ჯგუფისგან დამოუკიდებელი, ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის და ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის და ჯგუფის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებული ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხს აგებს კომპანიის და ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ოპერირება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ფუნქციონირებად საწარმოსთან და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების აღრიცხვის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, სანამ ხელმძღვანელობა არ გადაწყვეტს კომპანიის ან ჯგუფის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან გამოჩნდება ამის სხვა რეალური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის და ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა ჯგუფი და კომპანია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის და ჯგუფის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- ▶ მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფარგლებში არსებული საწარმოებისა თუ ბიზნეს-ოპერაციების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხს ვაგებთ ჯგუფის აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და მის შედეგებზე. ჩვენ უშუალოდ ვართ პასუხისმგებელი აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ კომპანიის და ჯგუფის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებებში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის რუსლან ხოროშვილი.

რუსლან ხოროშვილი

შპს „EY“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 8 ივნისი

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	12	2,096	1,641
საიჯარო შემოსავალი		1,787	1,328
სხვა შემოსავალი	12	525	498
სულ შემოსავალი		4,408	3,467
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14	(1,022)	(1,052)
მოკლევადიანი და დაბალფასიანი საიჯარო ხარჯი/საიჯარო ხარჯი		(114)	(280)
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	(1,041)	(944)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3	26
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(2,230)	(882)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		4	335
საპროცენტო შემოსავალი		58	—
საპროცენტო ხარჯი		(4)	—
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		231	113
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		289	448
მოგების გადასახადი		—	—
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		289	448

წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 8 ივნისს და ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით ებრალიძე

2020 წლის 8 ივნისი

დირექტორი



სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	12	2,096	1,641
საიჯარო შემოსავალი		1,787	1,328
სხვა შემოსავალი	12	525	498
სულ შემოსავალი		4,408	3,467
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14	(1,022)	(1,052)
მოკლევადიანი და დაბალფასიანი საიჯარო ხარჯი/საიჯარო ხარჯი		(114)	(280)
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	(1,041)	(944)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3	26
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(2,230)	(882)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		4	335
საპროცენტო შემოსავალი		58	–
საპროცენტო ხარჯი		(4)	–
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		231	113
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		289	448
მოგების გადასახადი		–	–
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		289	448

წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 8 ივნისს და ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით ებრალიძე

დირექტორი

2020 წლის 8 ივნისი

სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	12	2,096	1,641
საიჯარო შემოსავალი		1,787	1,328
სხვა შემოსავალი	12	210	238
სულ შემოსავალი		4,093	3,207
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14	(958)	(1,006)
მოკლევადიანი და დაბალფასიანი საიჯარო ხარჯი/საიჯარო ხარჯი		(104)	(228)
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	(892)	(854)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		3	26
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(1,952)	(808)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		190	337
საპროცენტო შემოსავალი		58	–
საპროცენტო ხარჯი		(4)	–
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		209	73
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე		453	410
მოგების გადასახადი		–	–
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		453	410

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	6	196	–
ძირითადი საშუალებები	7	5,525	6,242
საინვესტიციო ქონება	7	2,271	2,454
მიწით სარგებლობის უფლება	7	25	25
		8,017	8,721
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		3	10
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		29	228
დებიტორული დავალიანება	8	1,042	284
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	3,914	3,082
		4,988	3,604
სულ აქტივები		13,005	12,325
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	38,676	38,676
აკუმულირებული ზარალი		(27,076)	(27,365)
სულ კაპიტალი		11,600	11,311
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	85	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		85	–
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	117	–
კრედიტორული დავალიანება	11	556	801
მიღებული ავანსები		647	213
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,320	1,014
სულ ვალდებულებები		1,405	1,014
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,005	12,325

ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება
31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივის გამოყენების უფლება	6	196	–
ძირითადი საშუალებები	7	4,794	5,433
საინვესტიციო ქონება	7	2,271	2,454
მიწით სარგებლობის უფლება	7	25	25
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	15	1,180	1,115
		8,466	9,027
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		3	7
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		27	204
დებიტორული დავალიანება	8	880	6
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	3,744	3,009
		4,654	3,226
სულ აქტივები		13,120	12,253
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	38,676	38,676
აკუმულირებული ზარალი		(26,960)	(27,413)
სულ კაპიტალი		11,716	11,263
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	85	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		85	–
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	117	–
კრედიტორული დავალიანება	11	556	756
მიღებული ავანსები		646	234
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,319	990
სულ ვალდებულებები		1,404	990
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,120	12,253

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	38,676	(27,813)	10,863
წლის სრული შემოსავალი	–	448	448
2018 წლის 31 დეკემბერი	38,676	(27,365)	11,311
წლის სრული შემოსავალი	–	289	289
2019 წლის 31 დეკემბერი	38,676	(27,076)	11,600

კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	38,676	(27,823)	10,853
წლის სრული შემოსავალი	–	410	410
2018 წლის 31 დეკემბერი	38,676	(27,413)	11,263
წლის სრული შემოსავალი	–	453	453
2019 წლის 31 დეკემბერი	38,676	(26,960)	11,716

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დასაბეგრი მოგება		289	448
ცვლილებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	1,041	944
საპროცენტო შემოსავალი		(58)	–
საპროცენტო ხარჯი		4	–
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა		(4)	–
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		7	(7)
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა მიმდინარე აქტივებში		199	(217)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(758)	10
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში და მიღებულ ავანსებში		189	(109)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		909	1,069
გადახდილი მოგების გადასახადი		–	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		909	1,069
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(101)	(63)
მიღებული პროცენტი		58	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(43)	(63)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	6	(34)	–
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(34)	–
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		832	1,006
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	9	3,082	2,076
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	9	3,914	3,082

ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგება
31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დასაბეგრი მოგება		453	410
ცვლილებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	892	854
საპროცენტო შემოსავალი		(58)	–
საპროცენტო ხარჯი		4	–
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა		(4)	–
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		4	(4)
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა მიმდინარე აქტივებში		177	(204)
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(874)	(2)
ცვლილება კრედიტორულ დავალიანებაში და მიღებულ ავანსებში		212	(48)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე		806	1,006
გადახდილი მოგების გადასახადი		–	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		806	1,006
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(30)	(45)
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში		(65)	–
მიღებული პროცენტი		58	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(37)	(45)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	6	(34)	–
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(34)	–
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		735	961
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	9	3,009	2,048
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	9	3,744	3,009

9-30 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი მიმოხილვა

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ (შემდგომში „კომპანია“ და შვილობილ კომპანიასთან ერთად „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2008 წლის 9 ივნისს დაფუძნდა. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ფოთი, ჩხეიძის ქ. #1. ჯგუფი გასწევს ადმინისტრაციულ და საიჯარო მომსახურებას საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, გადასახადებისგან თავისუფალი გარემოს და ბიზნესის შექმნის სწრაფი და მარტივი პროცესის შეთავაზების გზით. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიას და მის 100%-იან საკუთრებაში მყოფ შვილობილ კომპანიას - შპს „Poti FIZ Utilities Management FZC“. კომპანიის პარტნიორები იყვნენ:

	2019	2018
შპს „CEFC (Euro-Asian)“, საქართველო	75%	75%
სახელმწიფო უწყება რას ალ ხაიმას საინვესტიციო ორგანო (გაერთიანებული საემიროები)	15%	15%
საქართველოს სახელმწიფო	10%	10%
	100%	100%

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „CEFC (Euro-Asian)“-ს პარტნიორია შპს „CEFC HongKong Energy Holdings Co.“ (ჩინეთის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული კომპანია, საიდენტიფიკაციო ნომერი: 1641338, მისამართი: ჰონგ-კონგი, ვან ჩაი, ჰარბორ როუდი #1, ქონვენშენ პლაზა ოფისის თაუერი, 23/F, ოთახი: 2302-2304. ის ფლობს შპს „CEFC (Euro-Asian)“-ის სააქციო კაპიტალის 100%-ს. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები იყვნენ ბატონი ჟუანგ მიაოჟუნგი და ბატონი ჩან ჩოუ ტო, რომლებიც ეფექტურად ფლობდნენ შპს „CEFC HongKong Energy Holdings Co.“-ის აქციების 70% და 30%-იან წილს. 2018 წლის ივლისის თვეში შპს „Euro-Asian Management Group“ განისაზღვრა შპს „CEFC (Euro-Asian)“-ის 75%-იანი წილის მმართველად კომპანიაში, ხოლო ბატონი დავით ებრალიძე კომპანიის დირექტორად დაინიშნა.

წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორების მიერ. პარტნიორებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი და დაკმაყოფილდა იმით, რომ ჯგუფი და კომპანია ფლობენ შესაბამის რესურსებს ბიზნესში დასარჩენად კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ მოსაზრების გამოსახატავად, ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფისა და კომპანიის ეკონომიკური საქმიანობები და გეგმები და გაითვალისწინა საოპერაციო და საბაზრო ფაქტორები, მათ შორის COVID-19-ის გავლენა, რისკები და შესაძლებლობები. ხელმძღვანელობამ ჩაატარა და შეაფასა ჯგუფისა და კომპანიის პროგნოზებისა და ბიუჯეტების სტრუქტურები. ამგვარი ტესტები მოიცავდა საიჯარო შემოსავლის დაახლოებით 40%-ით და ადმინისტრაციული მომსახურებიდან შემოსავლის დაახლოებით 60%-ით კლებას. 2019 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული, კერძოდ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული ქმედებები მე-19 შენიშვნაშია განხილული. ამ დეტალური შეფასების საფუძველზე, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ექვეყნებინა ჯგუფის და კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებები ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის - შპს „Poti FIZ Utilities Management FZC“ ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- მას შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებებს;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ჯგუფის ხმის უფლებებს და პოტენციური ხმის უფლებებს.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალური შემოსულობა და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის პარტნიორებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი საწარმოს კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი საწარმოს აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულებას;
- ჩამოწერს კაპიტალში ასახულ ჯამურ საკურსო სხვაობებს;
- ასახავს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- ასახავს ნებისმიერი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- ასახავს მოგებაში და ზარალში დეფიციტს ან მეტობას;
- ასევე მოახდენს მშობელი კომპანიის სხვა სრულ შემოსავალში ასახული კომპონენტების წილის რეკლასიფიკაციას მოგებასა და ზარალზე, ან გაუნაწილებელ მოგებაზე.

3. შეფასებების და დაშვებების გამოყენება

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

რისკებსა და გაურკვევლობებზე ჯგუფის დაქვემდებარების შესახებ სხვა ინფორმაცია მოიცავს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს, რომლებიც მე-16 შენიშვნაშია განხილული.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

ადმინისტრაციული მომსახურებებიდან შემოსავლის აღიარების ვადები

ჯგუფი ადმინისტრაციულ მომსახურებებს გასწევს, ე.ი. იღებს შემოსავლებს მისი მომხმარებლებისთვის სალიცენზიო და შესაბამისი სარეგისტრაციო, ადმინისტრაციული და საკონსულტაციო მომსახურებებიდან. ფასს (IFRS) 15 გამოიყენება იმის განსაზღვრად, ლიცენცია არის თუ არა ერთგვაროვანი და არის თუ არ შესრულებული შესასრულებელი მოვალეობა, კონკრეტულ დროში ან დროთა განმავლობაში. ხელმძღვანელობამ შეაფასა ლიცენზიის გაცემის დაპირების ხასიათი; ეს დაპირება შესრულებულია თუ არა დროთა განმავლობაში ან კონკრეტულ დროში. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ჯგუფი გადასცემს უფლებას საწარმოს საქართველოს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებასა და ფუნქციონირებაზე და შესაბამისად შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებებიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც ჯგუფს აღარ ექნება დამატებითი ვალდებულება განახორციელოს ისეთი დამატებითი საქმიანობები, რომლებსაც გავლენა ექნებათ გადაცემულ ლიცენზიაზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივებისთვის, რაც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

(i) გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები

ჯგუფი აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებს იჯარის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი გადაფასების მიხედვით. გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივებს ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, 2-წლიანი იჯარის ვადის განმავლობაში.

გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივები ასევე გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში *არაფინანსური აქტივების გაუფასურება*.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

(ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში გათვალისწინებული პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშობა ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

(iii) მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას მანქანა-დანადგარების და აღჭურვილობის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომლის დროსაც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ფარგლებში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	20
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	10
კომპიუტერები, საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი და მოწყობილობები	5

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომლის ფლობაც ხდება საიჯარო შემოსავლის მიღების, კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივეს მიზნით, მაგრამ არა გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში, წარმოებაში გამოყენების ან საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საწყობის ამორტიზაცია, რომელიც საინვესტიციო ქონებაშია შესული, დაირიცხება მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების 20-წლიან ვადაზე.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების შეძენას. საკუთარი ძალებით შექმნილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს მასალების და შრომით პირდაპირ ხარჯს, ასევე ნებისმიერ სხვა ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საინვესტიციო ქონების დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და კაპიტალიზებულ ნასესხებ სახსრებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არაფულადი აქტივის ან აქტივების, ან ფულადი და არაფულადი აქტივების ჯგუფის სანაცვლოდ შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მიღებული ან დათმობილი აქტივის სამართლიან ღირებულებას. თუ მიღებული ან გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება სარწმუნოდ შეიძლება შეფასდეს, დათმობილი აქტივის სამართლიანი ღირებულება გამოიყენება თვითღირებულების შესაფასებლად, თუ მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება მეტად გარკვევით იქნება განსაზღვრული.

საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც დაანგარიშდება როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა ამონაგებსა და ერთეულის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

როდესაც ქონებით სარგებლობა ისეთი ფორმით იცვლება, რომ ის რეკლასიფიცირდება ძირითად საშუალებად ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებად, გადასვლა მოქმედებს ამგვარი ქონების საბალანსო ღირებულებაზე რეკლასიფიკაციის თარიღში.

მიწით სარგებლობის უფლება

მიწით სარგებლობის უფლების აქტივი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაცია დაანგარიშდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, თვითღირებულების უფლების 99-წლიანი უფლების ვადაზე გადანაწილების გზით, რომელიც შესულია მოგება-ზარალის ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში ფინანსური მდგომარეობის განცალკევებულ ანგარიშგება თვითღირებულებით აღირიცხება, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. კომპანია აფასებს შვილობილ კომპანიაში ინვესტირების ანაზღაურებადობას, გაუფასურების ინდიკატორების არსებობის შემთხვევაში. გაუფასურების ინდიკატორები შესაძლოა მოიცავდეს კლებას შემოსავლებში, ამონაგებში ან ფულად ნაკადებში, ან არსებითად უარყოფით ცვლილებებს იმ ქვეყნის ისეთ ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ვითარებაში, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს, რომლებიც შესაძლოა იმაზე მიუთითებს, რომ ინვესტიციების საბალანსო ღირებულება არაანაზღაურებადია. თუ ფაქტები და ვითარებები შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის გაუფასურებაზე მიუთითებს, მოსალოდნელი მომავალი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც შესაბამის ინვესტიციას უკავშირდება, შედარდება მათ საბალანსო ღირებულებას, იმის განსასაზღვრად საჭიროა თუ არა ანაზღაურებადი ღირებულების ჩამოწერა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და მოკლევადიან ანაზღაურებას მაქსიმუმ სამი თვის ვადით, რომლებსაც აქვს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს-მოდელზე, რომლითაც მათ მართავს. იმ სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები თავში „შემოსავლის აღიარება“ ქვემოთ.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარება და შეფასება (გაგრძელება)

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები)
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე
- მოგებასა და ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალური კატეგორიაა.

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება. ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღება, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მე-8 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფს შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ჯგუფი სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, მას აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩაანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და არ არსებობს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის განზრახვა, რათა ერთდროულად მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სხვა საოპერაციო ხარჯებში.

კომპანიის შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში და არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ამონაგების აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. ჯგუფის შემოსავალს მაშინ აღიარებს, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს.

მრავალეფემენტაანი გარიგებებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჯგუფი განცალკევებით აღრიცხავს ინდივიდუალურ მომსახურებებს, თუ ისინი განცალკევებულია. ანაზღაურება გადანაწილდება სხვადასხვა მომსახურებაზე მათი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასები განისაზღვრება იმ პრაის-ლისტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ჯგუფი ყიდის მისი ოპერაციების დამუშავების და ტექნიკური მომსახურებებს.

შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან

შემოსავალი სალიცენზიო და დაკავშირებული სარეგისტრაციო, ადმინისტრაციული და საკონსულტაციო მომსახურებებიდან აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში. ამ შემოსავლის აღიარება ხდება შესასრულებელი მოვალეობის შესრულებისთანავე, შესაბამისი საბაზისო ოპერაციების იმ მომენტში, როდესაც სრულდება საბაზისო ოპერაცია.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფი პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი აღიარდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით საიჯარო ვადის განმავლობაში. შემდგომი პერიოდების საიჯარო ქირის მიღების შემდეგ, შესაბამისი შემოსავლის თანხა გადავადდება და აღიარდება შემდგომ პერიოდში. აუღიარებელი შემოსავალი კლასიფიცირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ფარგლებში მიღებული ავანსების სახით.

ყველაზე ნაკლები ოდენობის საიჯარო შემოსავალი, რომელიც შესულია მიწის საწყობებიდან, მიწის ნაკვეთებიდან, ინფრასტრუქტურული აქტივებიდან და აღჭურვილობებიდან საიჯარო შემოსავალში.

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის სამუშაო ვალუტა ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში.

სხვაობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციების სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის მიერ ოპერაციის თარიღში დადგენილ გაცვლით კურსს შორის შესულია წმინდა საკურსო ზარალში განსაზღვრულ მოგებაში ან ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად იყო 2.8677 და 2.6766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გრძელვადიანი ზრდის ტემპი გამოითვლება და გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად, გარდა მანამდე გადაფასებული ქონებისა, რომლის გადაფასების რეზერვიც აისახა სხვა სრულ შემოსავალში. ასეთი ქონების შემთხვევაში, გაუფასურების აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში ნებისმიერი წინა გადაფასების თანხამდე.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის აღდგენითი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. შემობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის აღდგენით ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. შემობრუნების აღიარება ხდება მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც შემობრუნება აღიარდება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

კონსოლიდირებული და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ მიუღია. ქვემოთ მოცემულია სტანდარტები, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან გავლენა ექნებათ ჯგუფზე:

- ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“
- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „საქმიანობის განსაზღვრა“
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „ტერმინის „არსებითი“ განმარტება“

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში

ჯგუფმა პირველად გამოიყენა ფასს (IFRS) 16 „იჯარა“. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტის მიღებით გამოწვეული ცვლილებების ხასიათი და ეფექტი ქვემოთ არის აღწერილი.

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ფასს (IFRS) 16 ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ეს სტანდარტი განსაზღვრავს იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპებს და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-სგან. მეიჯარეები განაგრძობენ იჯარების კლასიფიცირებას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარებად, ბასს (IAS) 17-ის მსგავსი პრინციპების გამოყენებით. შესაბამისად, ფასს (IFRS) 16-ს გავლენა არ ჰქონია ისეთ იჯარებზე, რომელშიც ჯგუფი ან კომპანია მეიჯარეა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებითი შენიშვნებში (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 - იჯარა (გაგრძელება)

ჯგუფმა და კომპანიამ მიიღეს ფასს (IFRS) 16, მიღების მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა და კომპანიამ მიიღეს გარდამავალი პრაქტიკული გამოცდილების გამოყენების გადაწყვეტილება, რათა განმეორებით არ შეეფასებინათ ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას 2019 წლის 1 იანვარს. ამის ნაცვლად ჯგუფმა და კომპანიამ სტანდარტი გამოიყენეს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც თავდაპირველი გამოყენების თარიღში იჯარებად განისაზღვრა ბასს (IAS) 17 და ფასიკ (IFRIC) 4-ის გამოყენებით.

ჯგუფმა და კომპანიამ ასევე გადაწყვიტეს გამოეყენებინათ აღიარებასთან დაკავშირებული გამონაკლისები საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომლებსაც დაწყების თარიღში აქვთ 12 ან ნაკლები თვითნაირი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას (მოკლევადიანი იჯარა), ასევე საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალფასიანია (დაბალი ღირებულების მქონე აქტივები).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს და კომპანიას ჰქონდათ დაბალფასიანი აქტივების იჯარა და საოფისე შენობის იჯარა თავდაპირველი 12-თვიანი საიჯარო ვადით და ამგვარად 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს (IFRS) 16-ის (იჯარა) მიღების ეფექტი არ აღიარებულა.

2019 წელს კომპანიამ გააფორმა ახალი საოფისე შენობის იჯარის ხელშეკრულება 2-წლიანი საიჯარო ვადით. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა და კომპანიამ აღიარეს გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივი 196 ლარის და საიჯარო ვალდებულებები 202 ლარის ოდენობით. ჯგუფმა და კომპანიამ ეს თანხები განცალკევებით აღიარეს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ანგარიშგებებში. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგება ზარალის და ფულადი ნაკადების (ზრდა/(კლება)) გავლენა იყო შემდეგი:

	2019
იჯარა	(46)
ცვეთა და ამორტიზაცია	40
საპროცენტო ხარჯი	4
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	(4)
მოგება პერიოდის განმავლობაში	(6)
	2019
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	34
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(34)

სხვა და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2019 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებულ და განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“
- ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“
- ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში: „გემის შეცვლა, შეკვეცა ან საბოლოო ანგარიშსწორება“
- ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში: „გრძელვადიანი ინტერესები მეკავშირე საწარმოებში და ერთობლივი საწარმოებში“
- წლიური გაუმჯობესება 2015-2017 წლების ციკლი
 - ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“
 - ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი გარიგებები“
 - ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“
 - ბასს (IAS) 23 „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. იჯარა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა დაბალფასიანი აქტივების იჯარა და საოფისე შენობის იჯარა თავდაპირველი 12-თვიანი საიჯარო ვადით და ამგვარად 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს (IFRS) 16-ის (იჯარა) მიღების ეფექტი არ აღიარებულა. 2019 წელს კომპანიამ გააფორმა ახალი საოფისე შენობის იჯარის ხელშეკრულება 2-წლიანი საიჯარო ვადით. კომპანიის ვალდებულებების მის იჯარასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილია მეიჯარის უფლებით უფლებრივად დატვირთულ აქტივებზე.

ქვემოთ მოცემულია გამოყენების უფლებით გადაცემული აღიარებული აქტივის საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2019
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–
შესყიდვები	236
ცვეთის ხარჯი	(40)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	196

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2019
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–
შესყიდვები	236
საპროცენტო განაკვეთის გაზრდა	4
გადახდილი	(34)
საკურსო სხვაობები	(4)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	202
მიმდინარე	117
გრძელვადიანი	85

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო არადისკონტირებულ გადახდებზე დაფუძნებული საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი იყო შემდეგი:

	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	სულ
საიჯარო ვალდებულება	–	33	98	87	218

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფს გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება თავის სასაწყობო მეურნეობაზე და მიწის ნაკვეთებზე. ამ იჯარებს აქვთ 25-წლამდე ვადა. იჯარები უმეტესად შეიცავს პირობას იჯარის გადასახადის ყოველწლიურად გადახედვის და გაზრდის შესახებ საბაზრო პირობების შესაბამისად. 31 დეკემბრისთვის შეუქცევად საოპერაციო იჯარებზე მისაღები მინიმალური სამომავლო იჯარა:

	2019	2018
ერთი წლის განმავლობაში	1,737	1,530
ერთი წლის შემდეგ, მაგრამ არაუმეტეს ხუთი წლისა	6,948	6,117
5 წელზე მეტი	28,952	24,091
	37,637	31,738

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და მიწით სარგებლობის უფლება

ქვემოთ მოცემულია მოძრაობა ჯგუფის ძირითად აქტივებში, საინვესტიციო ქონებასა და მიწით სარგებლობის უფლებაში:

	ინფრასტრუ- ქტურული აქტივები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვი- ლობა	კომპიუტერე- ბი, საოფისე აღჭურვილო- ბა, ავეჯი და მოწყობილო- ბები	სულ ძირითადი საშუალებები	საინვესტი- ციო ქონება	მიწით სარგებლო- ბის უფლება
თვითღირებულება						
2017 წლის						
31 დეკემბერი	8,963	3,812	1,211	13,986	3,668	19,712
შესყიდვები	18	–	45	63	–	–
გასვლები	–	–	(90)	(90)	–	–
2018 წლის						
31 დეკემბერი	8,981	3,812	1,166	13,959	3,668	19,712
შესყიდვები	70	13	18	101	–	–
2019 წლის						
31 დეკემბერი	9,051	3,825	1,184	14,060	3,668	19,712
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება						
2017 წლის						
31 დეკემბერი	3,489	2,507	1,050	7,046	1,031	19,687
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	367	336	58	761	183	–
გასვლები	–	–	(90)	(90)	–	–
2018 წლის						
31 დეკემბერი	3,856	2,843	1,018	7,717	1,214	19,687
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	392	368	58	818	183	–
2019 წლის						
31 დეკემბერი	4,248	3,211	1,076	8,535	1,397	19,687
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2017 წლის						
31 დეკემბერი	5,474	1,305	161	6,940	2,637	25
2018 წლის						
31 დეკემბერი	5,125	969	148	6,242	2,454	25
2019 წლის						
31 დეკემბერი	4,803	614	108	5,525	2,271	25

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და მიწით სარგებლობის უფლება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მოძრაობა კომპანიის ძირითად აქტივებში, საინვესტიციო ქონებასა და მიწით სარგებლობის უფლებაში:

	ინფრასტრუქტურული აქტივები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	კომპიუტერები, საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	სულ ძირითადი საშუალებები	საინვესტიციო ქონება	მიწით სარგებლობის უფლება
თვითღირებულება						
2017 წლის						
31 დეკემბერი	7,318	3,277	1,202	11,797	3,668	19,712
შესყიდვები	–	–	45	45	–	–
გასვლები	–	–	(90)	(90)	–	–
2018 წლის						
31 დეკემბერი	7,318	3,277	1,157	11,752	3,668	19,712
შესყიდვები	–	13	17	30	–	–
2019 წლის						
31 დეკემბერი	7,318	3,290	1,174	11,782	3,668	19,712
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება						
2017 წლის						
31 დეკემბერი	2,517	2,178	1,043	5,738	1,031	19,687
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	301	313	57	671	183	–
გასვლები	–	–	(90)	(90)	–	–
2018 წლის						
31 დეკემბერი	2,818	2,491	1,010	6,319	1,214	19,687
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	301	314	54	669	183	–
2019 წლის						
31 დეკემბერი	3,119	2,805	1,064	6,988	1,397	19,687
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2017 წლის						
31 დეკემბერი	4,801	1,099	159	6,059	2,637	25
2018 წლის						
31 დეკემბერი	4,500	786	147	5,433	2,454	25
2019 წლის						
31 დეკემბერი	4,199	485	110	4,794	2,271	25

საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საინვესტიციო ქონება მოიცავს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განთავსებულ საწყობებს და მათი ღირებულება აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. დამხმარე კონსტრუქციები, გარდა საწყობებისა, შესულია ძირითად საშუალებებში შეყვანილ ინფრასტრუქტურულ აქტივებში. ჯგუფს კონკრეტული შეზღუდვები აქვს მის საინვესტიციო ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფს აქვს უფლება მისი საინვესტიციო ქონება მიყიდოს მხოლოდ იმ კომპანიას/კომპანიებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. ჯგუფი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს იყენებს შესაბამისი ქონების სამართლიანი ღირებულების გამოსავლენად. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება მის სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ძირითადი საშუალებები, საინვესტიციო ქონება და მიწით სარგებლობის უფლება (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულების დაანგარიშებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები:

დაშვება	ღირებულება
დისკონტირების განაკვეთი (კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC))	17.2%
1 კვ.მ.-ის იჯარის სავარაუდო ფასი თვეში	0.11 ლარი – 0.16 ლარი
იჯარის წლიური ზრდა	3.0%

მნიშვნელოვანი ზრდა (კლება) მოსალოდნელ საიჯარო ღირებულებაში და წლიური ზრდა იჯარაში, ცალკე გამოიწვევს ქონების მნიშვნელოვნად მაღალ (დაბალ) სამართლიან ღირებულებას. მნიშვნელოვანი ზრდა (კლება) გრძელვადიან თავისუფალი ფართის წილში და დისკონტირების განაკვეთში იზოლაციაში, გამოიწვევდა მნიშვნელოვნად დაბალ (მაღალ) სამართლიან ღირებულებას.

	2019	2018
საინვესტიციო ქონებიდან წარმოშობილი საიჯარო შემოსავალი	713	539
პირდაპირი საოპერაციო ხარჯები (სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ჩათვლით), რომლებიც საიჯარო შემოსავალს წარმოქმნიან	(388)	(366)
პირდაპირი საოპერაციო ხარჯები (სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ჩათვლით), რომლებიც არ წარმოქმნიან საიჯარო შემოსავალს (შესულია გაყიდვით დაწესებული თვითღირებულებაში)	(7)	(6)
თვითღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებიდან წარმოქმნილი მოგება	318	167

მიწით სარგებლობის უფლება

მიწით სარგებლობის უფლება წარმოადგენს მიწის ნაკვეთებით სარგებლობის უფლებას საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე, 99-წლიანი პერიოდის განმავლობაში და მასზე ირიცხება ცვეთა იჯარის ვადის ვადაზე, 2008 წლის დეკემბრიდან დაწყებული.

8. დებიტორული დავალიანება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკი შემდეგნაირად გამოიყურება:

	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	4%	8%	14%	40%	
მოსალოდნელი მთლიანი ღირებულება	250	237	65	877	1,429
რეზერვის თანხა	(9)	(19)	(9)	(350)	(387)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	241	218	56	527	1,042

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებამ 284 ლარი შეადგინა, რაც გონივრულ ფარგლებში მიახლოებული იყო მათ სამართლიან ღირებულებასთან და სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურება არ აღრიცხულა. 2019 წელს ჯგუფმა აღიარა გაუფასურების რეზერვი 387 ლარის ოდენობით. დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი 5-დან 30 კალენდარულ დღეს შეადგენს.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკი ასეთი იყო:

	<i><30 დღე</i>	<i>30-60 დღე</i>	<i>61-90 დღე</i>	<i>>90 დღე</i>	<i>სულ</i>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	4%	12%	13%	25%	
მოსალოდნელი მთლიანი რაოდენობა	224	164	70	609	1,067
რეზერვის თანხა	(9)	(19)	(9)	(150)	(187)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	215	145	61	459	880

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებამ 6 ლარი შეადგინა, რაც გონივრულ ფარგლებში მიახლოებული იყო მათ სამართლიან ღირებულებასთან და სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გაუფასურება არ აღრიცხულა. 2019 წელს კომპანიამ აღიარა გაუფასურების რეზერვი 187 ლარის ოდენობით. გადახდის პირობები 5-დან 30 კალენდარულ დღეს მოიცავს.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები უმეტესად მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში. ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია იმ ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

10. კაპიტალი

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ საწესდებო კაპიტალში განახორციელა 38,676 ლარის შენატანი. 2019 და 2018 წლებში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

11. კრედიტორული დავალიანება

ჯგუფის კრედიტორული დავალიანება მოიცავს შემდეგს:

	<i>2019</i>	<i>2018</i>
მომსახურებისთვის კრედიტორულ დავალიანებებს	498	527
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	58	274
კრედიტორული დავალიანება, სულ	556	801

კომპანიის კრედიტორული დავალიანება მოიცავს შემდეგს:

	<i>2019</i>	<i>2018</i>
მომსახურებისთვის კრედიტორულ დავალიანებებს	498	504
გადასახდელი საოპერაციო გადასახადი	58	252
კრედიტორული დავალიანება, სულ	556	756

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულ ფარგლებში მათ სამართლიან ღირებულებებს არის მიახლოებული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. ფასს (IFRS) 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“

ჯგუფი ადმინისტრაციულ მომსახურებებს უწევს მომხმარებლებს, რაც მოიცავს შესაბამისი ლიცენზი(ებ)ის გაცემას და რეგისტრაციას, ასევე ადმინისტრაციულ და საკონსულტაციო მომსახურებებს საქართველოს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. ჯგუფის შეფასებით, ეს მომსახურებები დაკმაყოფილებულია კონკრეტულ მომენტში (დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ მე-3 შენიშვნა).

ჯგუფის ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან იყო შემდეგი:

	2019	2018
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	2,096	1,641
სხვა შემოსავალი	525	498
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	2,621	2,139

კომპანიის ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან იყო შემდეგი:

	2019	2018
შემოსავალი ადმინისტრაციული მომსახურებიდან	2,096	1,641
სხვა შემოსავალი	210	238
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	2,306	1,879

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

ჯგუფმა აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით (მე-8 შენიშვნა)	1,042	284
მიღებული ავანსები	647	213

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით (მე-8 შენიშვნა)	880	6
მიღებული ავანსები	646	213

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება.

ჯგუფი იყენებს ფასს (IFRS) 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეთოდს და არ წარადგენს განმარტებით შენიშვნებს შესასრულებელ ვალდებულებებზე განაწილებული ოპერაციის ღირებულების დაუკმაყოფილებელ აგრეგირებულ ოდენობას, რადგან ჯგუფს აქვს უფლება მომხმარებლისგან მიიღოს იმ ოდენობის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირ შეესაბამება ჯგუფის მიერ კონკრეტული თარიღისთვის შესრულებული ვალდებულებების ღირებულებას მომხმარებლისთვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

ჯგუფის სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავდა:

	2019	2018
პროფესიული მომსახურება	886	247
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის დარიცხვა	387	–
სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები	319	146
დაცვა-უსაფრთხოება	156	177
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	47	28
ბანკის საკომისიო	41	77
საწვავი	33	20
კომუნიკაციები	16	19
სხვა საოპერაციო ხარჯები	345	168
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	2,230	882

კომპანიის სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავდა:

	2019	2018
პროფესიული მომსახურება	886	247
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის დარიცხვა	187	–
სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები	319	146
დაცვა-უსაფრთხოება	156	177
ბანკის საკომისიო	41	77
კომუნიკაციები	33	20
საწვავი	30	26
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	16	19
სხვა საოპერაციო ხარჯები	284	96
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	1,952	808

14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

2019 წელს, ჯგუფის მიერ დაქირავებული თანამშრომლების საშუალო რაოდენობა (ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ჩათვლით) 25 შეადგინა (2018 წ.: 28 თანამშრომელი). ჯგუფის ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი მოიცავდა:

	2019	2018
ხელფასები და შესაბამისი გადახდები	934	998
სხვა სარგებელი	88	54
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,022	1,052

2019 წელს, კომპანიის მიერ დაქირავებული თანამშრომლების საშუალო რაოდენობა (ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ჩათვლით) 20 შეადგინა (2018 წ.: 23 თანამშრომელი). კომპანიის ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი მოიცავდა:

	2019	2018
ხელფასები და შესაბამისი გადახდები	869	958
სხვა სარგებელი	89	48
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	958	1,006

15. ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ აღიარა 1,180 და 1,115 ლარის ოდენობით (შესაბამისად) ინვესტიცია 100%-იან საკუთრებაში მყოფ შვილობილ კომპანიაში - შპს „Poti FIZ Utilities Management FZC“. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ აღიარა ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში დაგროვილი გაუფასურების რეზერვის ხარჯის გამოკლებით, რამაც 1,185 ლარი შეადგინა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკებს.

16.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. 2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში:
2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს 3,914 და 3,082 ლარი (შესაბამისად) განთავსებული ჰქონდა მესამე პირ ბანკში, რომელსაც „Moody's“-ისგან „BI/NP“ (FC) და „Ba3/NP“ (LC), ხოლო „Fitch Ratings“ სარეიტინგო სააგენტოსგან „BB-/B“ რეიტინგები აქვს მინიჭებული.
- სავაჭრო მოთხოვნები (საკრედიტო რისკის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 შენიშვნაში)

16.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკი ფასდება და კონტროლდება ხელმძღვანელობის მიერ.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულების ვადა შეადგენს სამ თვეს, ხოლო სახელშეკრულებო არადისკონტური დაფარვის ვალდებულებები მათ საბალანსო ღირებულებას უტოლდება.

16.3 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. ჯგუფი არ გასწევს მნიშვნელოვან საბაზრო რისკს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებთან მიმართებაში.

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი საწარმოებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებებისა და ჯგუფის დაუფარავი ნაშთების ოდენობა ასეთია:

სხვა დაკავშირებული მხარეები

კრედიტორული დავალიანება

2019	2018
27	35

კრედიტორული დავალიანება უმეტესწილად წარმოადგენს ტექნიკური მომსახურებების დავალიანებას, 5-დან 30 კალენდარ დღემდე პერიოდში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ჯგუფის იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა:

სხვა დაკავშირებული მხარეები	2019	2018
სხვა საოპერაციო ხარჯები: პროფესიონალური მომსახურებები	600	200
მოკლევადიანი და დაბალფასიანი საიჯარო ხარჯი/საიჯარო ხარჯი	92	189

2019 და 2018 წლებში, ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 172 ლარი და 171 ლარი (შესაბამისად).

18. პირობითი ვალდებულებები

2017 წელს მშობელ კომპანიას, შპს „CEFC“ (ევრაზიული) და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული, კომპანიაში 75% წილის ნასყიდობის შესახებ საინვესტიციო ხელშეკრულების თანახმად, მშობელი კომპანია ან ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელიც საქმიანობას საქართველოს ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ეწევა, ვალდებულია განახორციელოს სულ მცირე 50 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია არაუგვიანეს 2020 წლის დეკემბრის თვისა და დამატებით 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია არაუგვიანეს 2028 წლის დეკემბრისა.

2019 წლისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს და კომპანიას არ ჰქონდათ კაპიტალური ან სხვა ვალდებულებები.

19. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19-ის გლობალური პანდემიის შედეგად, ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული პერსონალი დისტანციურად მუშაობს 2020 წლის 12 მარტიდან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად, თუმცა სხვა დეპარტამენტების მუშაობა შეჩერებულ იქნა. ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული და მოქმედი მწარმოებელი კომპანიების უმრავლესობისგან მოთხოვნილ იქნას საქმიანობის შეჩერება და მუშაობა უნდა განაახლონ მთავრობის მიერ შესაბამისი შეზღუდვების გაუქმებისთანავე. 2020 წლის 22 მაისს საქართველოს მთავრობამ COVID-19-ის საგანგებო მდგომარეობის ვადის გასვლისას გამოაქვეყნა იზოლაციის ზომების განახლებული დოკუმენტი. შესაბამისად, შეზღუდვების უმრავლესობა გამარტივდა, ხოლო ზოგიერთი რეგულაცია უცვლელი დარჩა. ხელმძღვანელობა ყურადღებით ადევნებს თვალს COVID-19-თან დაკავშირებულ ვითარებას საქართველოში და შესაბამისად მართავს ლიკვიდურობას და სხვა საქმიანობებს. ეს საკითხები დამატებით განხილულია პარაგრაფში „ფუნქციონირებადი საწარმო“ მე-2 შენიშვნაში.



მმართველობითი ანგარიში

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“

2020

სარჩევი

შესავალი	3
დირექტორის მიმართვა	3
საქმიანობის მიმოხილვა	3
კომპანიის შესახებ	3
რას ვსაქმიანობთ	3
კომპანიების რეგისტრაცია	3
ლიცენზიები	4
იჯარა	4
სამშენებლო პროექტებზე ნებართვის გაცემა	4
კომუნალური ინფრასტრუქტურის მიერთება	4
ტვირთების დატვირთვა/გადმოტვირთვის მომსახურეობა	4
შიდა ინფრასტრუქტურის განვითარება	4
ინვესტორებთან ურთიერთობა.....	4
ლიცენზიისა და იჯარის განახლება.....	5
თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიის ლიკვიდაცია	5
ფოტის თიზ-ში არსებული და მიმდინარე საინვესტიციო პროექტები	5
კორპორატიული მართვის ანგარიშგება	6
დირექტორის მოკლე ბიოგრაფია	6
ფოტის თიზ-ში მოქმედი პროცედურები	7
შრომის შინაგანაწესი	7
ადამიანური რესურსების მართვა	8
შესყიდვის ორგანიზების პროცედურა.....	8
ინფორმაცია ფოტის თიზ-ის მფლობელთა შესახებ	8
ფოტის თიზ-ის პრიორიტეტები.....	8
ჩვენი გუნდი	9
ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო.....	9
ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები.....	9
რისკის მართვა	9
საკრედიტო რისკი	9

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ (შემდგომში „ფოთის თიზ“-ს) ადმინისტრაციის მიერ და ის ასახავს ფოთის თიზ-ის საქმიანობას, მოქმედ წესებს და რეგულაციებს, მათ შორის, ინვესტორი კომპანიებისთვის თიზ-ის ტერიტორიაზე მოქმედ ზოგად წესებს და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ პროცესებს. დოკუმენტში ასევე აღწერილია ფოთის თიზ-ის სამომავლო გეგმები და განვითარების პერსპექტივები.

დირექტორის მიმართვა

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მმართველობის ანგარიშგება, რომლის მიზანია ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების თვალსაჩინოდ წარდგენა და ჩვენი, როგორც ფოთის თიზ-ის ადმინისტრატორის უფლებებისა და მოვალეობების, მათ შორის, ინვესტორი კომპანიებისთვის ჩვენს მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და ეფექტურობის განვითარება.

ჩვენი გუნდის ინტელექტუალური რესურსი ორიენტირებულია სხვადასხვა ბიზნეს სექტორში მოღვაწე ახალი კომპანიების და ინვესტიციების ფოთის თიზ-ში მოზიდვაზე, ასევე არსებული ინვესტორი კომპანიების საქმიანობის მხარდაჭერისა და მათი სრულფასოვნად ფუნქციონირების ხელშეწყობაზე, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია შიდა ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა მომავალში ფოთის თიზ-ი გადავაქციოთ რეგიონალური მასშტაბის ეფექტურ საწარმოო, სავაჭრო და ლოგისტიკურ ჰაბად.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ დაფუძნებულია 2008 წელს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში და მას გააჩნია შემდეგი 87 წლის განმავლობაში ფოთის თიზ-ის ადმინისტრირების უფლებამოსილება. ფოთის თიზ-ი სრულფასოვნად ფუნქციონირებს 2010 წლიდან და წარმოადგენს პირველ ინდუსტრიულ ზონას კავკასიის რეგიონში. კომპანიის წილის 75%-ს მართავს შპს „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფი“. თიზ-ი ერთადერთ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას წარმოადგენს საქართველოში, საქართველოს მთავრობის წილობრივი მონაწილეობით.

ფუნქციონირების დაწყებიდან დღემდე ფოთის თიზ-ი ეტაპობრივად ავითარებს შიდა ინფრასტრუქტურას და უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის სამრეწველო, სავაჭრო თუ ლოგისტიკური საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.

ფოთის თიზ-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ადმინისტრირება/მართვა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად.

შპს „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ შვილობილ კომპანიას (100% წილი) წარმოადგენს შპს „ფოთი თიზ კომუნალური მართვა (თზკ)“, რომლის ძირითად საქმიანობაა ფოთის თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიებისთვის ლოგისტიკური და საბროკერო მომსახურების გაწევა ფოთის თიზ-ის შიდა ტერიტორიაზე.

რას ვსაქმიანობთ

შპს „ფოთის თიზ-ის“ მომსახურება მოიცავს ფოთის თიზ-ში კომპანიების რეგისტრაციას, შესაბამისი ბიზნეს ლიცენზიების გაცემას, ასევე საწყოების, მიწის, სმარტ-ოფისის (იურიდიული მისამართი) იჯარით გაცემას.

კომპანიების რეგისტრაცია

ფოთის თიზ-ის იურიდიული დეპარტამენტი უზრუნველყოფს ინვესტორი კომპანიის თიზ-ში რეგისტრაციას 1-2 სამუშაო დღის განმავლობაში და ამზადებს კომპანიის რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

ლიცენზიები

ლიცენზია წარმოადგენს ფოთის თიზ-ის მიერ, თიზ-ში რეგისტრირებული ინვესტორი კომპანიებისთვის გაცემულ იურიდიულ დოკუმენტს (დროებით ნებართვას) ფოთის თიზ-ში სხვადასხვა საქმიანობის (ვაჭრობა, წარმოება, კონსულტაცია და ა.შ.) განსახორციელებლად.

ფოთის თიზ-ი ინვესტორ კომპანიებს, მათი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე სთავაზობს 9 ტიპის ლიცენზიას, რომელსაც გასცემს კომპანიის რეგისტრაციის დასრულებისთანავე. ლიცენზია ექვემდებარება ყოველწლიურ განახლებას, რომელსაც უზრუნველყოფს ფოთის თიზ-ი (ადმინისტრატორი), ინვესტორის მხრიდან შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. ლიცენზიის ღირებულება განისაზღვრება ფოთის თიზ-ის მიერ დამტკიცებული ტარიფებით.

იჯარა

ფოთის თიზ-ი ინვესტორ კომპანიებს სთავაზობს სმარტ-ოფისების (იურიდიული მისამართი), ოფისების, სასაწყობო ფართების, მიწის ნაკვეთების გრძელ- და მოკლევადიან იჯარას, რომელთა საიჯარო ტარიფები განსაზღვრულია ფოთის თიზ-ის მიერ დამტკიცებული ტარიფებით.

სამშენებლო პროექტებზე ნებართვის გაცემა

ფოთის თიზ-ი უფლებამოსილია თავად განიხილოს და გასცეს I-IV კატეგორიის სამშენებლო ნებართვები. ფოთის თიზ-ის ტექნიკური დეპარტამენტი განიხილავს და გასცემს შესაბამის სამშენებლო ნებართვას ინვესტორი კომპანიის სამშენებლო პროექტზე, ამ უკანასკნელის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. სამშენებლო პროექტის შეთანხმება ხდება ფოთის თიზ-ის მიერ დამტკიცებული სამშენებლო რეგულაციების მიხედვით. ასევე ტექნიკური დეპარტამენტი ინვესტორ კომპანიებს კონსულტაციას უწევს V კლასის სამშენებლო ნებართვის მისაღებად და გარემოსდაცვით ან შესაბამისი კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნებართვებთან დაკავშირებით.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მიერთება

ფოთის თიზ-ის შვილობილი კომპანია შპს „ფოთი თიზ კომუნალური მართვა (თზკ)“ ინვესტორ კომპანიებს სთავაზობს სხვადასხვა კომუნალური ინფრასტრუქტურის (დენი, გაზი, წყალი) მიერთებას, მათ მიერ იჯარით აღებულ ობიექტზე, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, წინასწარ მოთხოვნილი და შეთანხმებული სპეციფიკაციების შესაბამისად.

ტვირთების დატვირთვა/გადმოტვირთვის მომსახურეობა

ფოთის თიზ-ის შვილობილი კომპანია შპს „ფოთი თიზ კომუნალური მართვა (თზკ)“ ინვესტორ კომპანიებს სთავაზობს თიზ-ის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობის ტვირთის დამუშავებას (დატვირთვა, გადმოტვირთვა, დასაწყობება), საბაჟო დოკუმენტაციის მომზადებას, რომლის მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია ფოთის თიზ-ის მიერ დამტკიცებული მომსახურეობის ტარიფებით.

შიდა ინფრასტრუქტურის განვითარება

ფოთის თიზ-ი ეტაპობრივად ახორციელებს, როგორც შიდა ინფრასტრუქტურის (გზები, განათების სისტემა, ღობე, ელექტრო და წყლის ინფრასტრუქტურა, ვიდეო-სათვალთვალო სისტემისა და ინტერნეტის ქსელები) მოწყობას, ასევე მათ მოვლას და პერიოდულ განახლებას/შეკეთებას. აგრეთვე, თიზ-ის ტერიტორიაზე არსებული ფოთის თიზ-ის მიერ აშენებული ობიექტების (საბაჟო ადმინისტრაციული შენობა, საწყობები, საავტომობილო და სარკინიგზო ტერმინალები) სარემონტო სამუშაოებს.

ინვესტორებთან ურთიერთობა

ფოთის თიზ-ის ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამიზნე ქვეყნებიდან ინვესტორების მოზიდვა, პოტენციური ინვესტორების მოძიება, შესათავაზებელი წინადადების მომზადება, მოლაპარაკების პროცესის წარმართვა. პარალელურ რეჟიმში თიზ-ის ინვესტორებთან ურთიერთობის გუნდი ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებისა და პრეზენტაციების ორგანიზებას, ასევე მონაწილეობას იღებს ბიზნეს-ფორუმებსა და გამოფენებზე, რის მიზანსაც წარმოადგენს ფოთის თიზ-ის ცნობადობის გაზრდა, თიზ-ის პროექტების პოპულარიზაცია, საინვესტიციო პოტენციალის შეთავაზება და ინვესტიციების მოზიდვა.

ამავე დეპარტამენტის ფუნქციურ მოვალეობაში შედის ფოთის თიზ-ის არსებულ ინვესტორ კომპანიებთან მუდმივ კომუნიკაციაში ყოფნა, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს ინვესტორ კომპანიებზე გაცემული ლიცენზიების და მათ მიერ იჯარით აღებული ობიექტების ყოველწლიური განახლების მონიტორინგს და მართვას.

ფოთის თიზ-ის გუნდი ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმში არსებულ ინვესტორებს კონსულტაციას უწევს სხვადასხვა საკითხებთან (საბანკო, იურიდიული, ტექნიკური და სხვ.) დაკავშირებით, მუდმივად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით; კოორდინაციას უწევს ინვესტორი კომპანიების მხრიდან წამოჭრილ პრობლემებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას სხვა დეპარტამენტებთან ერთად.

ფოთის თიზ-ის ინვესტორებთან ურთიერთობის გუნდი შეიმუშავებს ყოველწლიურ სტრატეგიებს, სექტორული და რეგიონალური ანალიზის და კვლევების საფუძველზე, გეგმავს სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებებს, მათ შორის, მართავს/აახლებს კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდს და სოციალურ მედიას.

ლიცენზიისა და იჯარის განახლება

ფოთის თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიების ლიცენზიების და იჯარების განახლების პროცედურა შემდეგი სქემით წარმართება: თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიების ერთიანი შიდა ელექტრონული რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, განისაზღვრება გასაახლებელი ლიცენზიისა და იჯარის მქონე კომპანიები, რომლებსაც შესაბამისი ინვოისები ეგზავნებათ. პროცედურის მონიტორინგს ახორციელებს ინვესტორებთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიის ლიკვიდაცია

ფოთის თიზ-ის იურიდიული დეპარტამენტი ინვესტორი კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს კომპანიისთვის მინიჭებული იურიდიული მისამართის გაუქმებას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ხარვეზის დადგენის შემდგომ, ინვესტორი კომპანია თავად არის ვალდებული და უფლებამოსილი მოახდინოს/დაასრულოს კომპანიის ლიკვიდაციის პროცესი.

ფოთის თიზ-ში არსებული და მიმდინარე საინვესტიციო პროექტები

დღეის მდგომარეობით, ფოთის თიზ-ში ფუნქციონირებს 109 ლიცენზიანტი კომპანია. თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიების უმრავლესობის (85%) საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სახეობის პროდუქციით, მათ შორის ფარმაცევტული პროდუქტებით, საბურავებით, ავტომანქანის ნაწილებით, მანქანა-დანადგარებით, საკვები პროდუქტებით, ტექსტილით, ქიმიური და სამშენებლო პროდუქციით ვაჭრობა (იმპორტი, დასაწყობება, რე-ექსპორტი/ექსპორტი).

ამჟამად თიზ-ში ფუნქციონირებს 7 საწარმო (ქარხანა), რომელებიც თიზ-ის ტერიტორიაზე აწარმოებენ და ექსპორტზე გააქვთ ქართული წარმოშობის სერტიფიკატის მქონე პროდუქტები, მათ შორის პარფიუმერული დანამატები, მეტალო-კრამიტის სახურავები, ეთანოლის სპირტი, პლასტმასის დანამატები, საპოხი მასალები და სხვა.

გარდა ამისა, ფოთის თიზ-ის გუნდი აქტიურად განაგრძობს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მოზიდვას. 2020 წლის მეორე ნახევარში და ბოლოს დაგეგმილია შემდეგი საწარმოების ექსპლუატაციაში ჩაშვება:

- თხილის გადამამუშავებელი საწარმო. 2003 კვ.მ მიწის ფართობზე ინვესტორმა დაასრულა ქარხნის მშენებლობა, სრულად აღჭურვა მანქანა-დანადგარებით. ექსპლუატაციაში ჩაშვება დაგეგმილია 2020 წლის მეორე ნახევარში;
- ელექტრონული მიკროსქემის ამწყობი საწარმო (საწარმო განთავსებულია 755 კვ.მ სასაწყობე ფართობი);
- ავტომობილების მექანიკური კომპონენტების მწარმოებელი ქარხანა (5000 კვ.მ მიწის ფართობზე აშენებს 2500 კვ.მ ფართობის ქარხანას);
- მოწვევის საწინააღმდეგო ფხვნილის მწარმოებელი ქარხანა (905 კვ.მ მიწის ფართობზე დაგეგმილია ქარხნის მშენებლობა); ამ ეტაპზე საწარმოს მანქანა-დანადგარები განთავსებული აქვს ერთ-ერთ სასაწყობე ფართში და მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურთან საბოლოო პროდუქტის კოდის იდენტიფიცირება, რომლის დადებითი პასუხის მიღების შეთხვევაში საწარმო დაიწყებს ქარხნის მშენებლობას 905 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

ფოთის თიზ-ში რეგისტრირებულ სავაჭრო/საწარმოო კომპანიებში ერთობლივად დასაქმებულია დაახლოებით 170-მდე ადგილობრივი მუშახელი.

ფინანსური მიმოხილვა

2019 წელს გამოიცა ფოთის თიზ-ის ფასის სტანდარტების საფუძველზე მომზადებული აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ჯგუფს აუდიტორული მომსახურება გაუწია შპს „იუაიმ“. გამოქვეყნებული კონსოლიდირებული ანგარიშგება ასახავს ბოლო სამი წლის ფინანსური მდგომარეობას. ქვემოთ წარმოდგენილია მოკლე ფინანსური ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	<u>2019</u>	<u>2018</u>	<u>2017</u>	<u>2016</u>
მთლიანი აქტივები	13,004	12,325	11,986	11,196
მთლიანი კაპიტალი	11,600	11,311	10,863	10,111
მთლიანი ვალდებულებები	1,404	1,014	1,123	1,085
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	12,325	12,325	11,986	11,196

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	<u>2019</u>	<u>2018</u>	<u>2017</u>
შემოსავალი	4,408	3,467	3,090
საოპერაციო ხარჯები	(4,405)	(3,132)	(2,374)
საოპერაციო მოგება	3	335	716
სხვა ფინანსური ხარჯები	285	113	36
მოგება გადასახადის გადახდამდე	288	448	752
მოგების გადასახადი	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება	288	448	752

ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება	<u>2019</u>	<u>2018</u>	<u>2017</u>	<u>2016</u>
მთლიანი აქტივები	13,120	12,253	11,891	11,194
მთლიანი კაპიტალი	11,716	11,263	10,853	10,111
მთლიანი ვალდებულებები	1,404	990	1,038	1,083
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	13,120	12,253	11,891	11,194

სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგება	<u>2019</u>	<u>2018</u>	<u>2017</u>
მთლიანი შემოსავალი	4,094	3,207	2,768
საოპერაციო ხარჯები	(3,903)	(2,870)	(2,067)
საოპერაციო მოგება	191	337	701
სხვა ფინანსური ხარჯები	264	73	41
მოგება გადასახადების გადახდამდე	455	410	742
მოგების გადასახადი	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება	455	410	742

კორპორატიული მართვის ანგარიშგება

ფოთის თიზ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა მაქსიმალურად არის მორგებული კომპანიის საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე; კომპანიაში შექმნილია 4 დეპარტამენტი, რომლებიც ხელმძღვანელობენ შესაბამისი უფლება-მოვალეობების ინსტრუქციებით. ფოთის თიზ-ში მართვაზე უფლებამოსილი პირია - დირექტორი.

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

დავით ებრალიძე არის უელსის ინსტიტუტის უნივერსიტეტის (University of Wales Institute) ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრი და ასევე კორნელის სამართლის სკოლის (Cornell Law School) სამართლის მაგისტრი.

დავით ებრალიძის სამსახურეობრივი კარიერა უკავშირდება კერძო და სამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის გამოვყოფთ საქართველოს საპარტნიორო ფონდს, საქართველოს ეკონომიკურ საბჭოს, საქართველოს თანაინვესტირების ფონდს. ის უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში მიმდინარე საინვესტიციო პროექტების განხორციელებაში და აქვს ინვესტიციების მოზიდვის სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება.

ფოთის თიზ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა



ფოთის თიზ-ის შვილობილი კომპანიის შპს „ფოთის თიზ კომუნალური მართვა (თზკ)“ ორგანიზაციული სტრუქტურა



ფოთის თიზ-ში მოქმედი პროცედურები

კომპანიაში შემუშავებულია კორპორაციული მართვის და რეგულირების სხვადასხვა პროცედურები, მათ შორის შრომის შინაგანაწესი, პერსონალის შერჩევა-მიღება, კვალიფიკაცია, კომპეტენტურობისა და სწავლების პროცედურა, ზოგადი საქმისწარმოების ერთიანი წესი, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს შესყიდვის ორგანიზების პროცედურა, თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიების ლიცენზიებისა და იჯარების განახლების პროცედურა, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს თიზ-ის დეპარტამენტებისთვის.

შრომის შინაგანაწესი

დოკუმენტი მომზადებულია და დამტკიცებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და ის განსაზღვრავს კომპანიის თანამშრომელთა ძირითად უფლება-მოვალეობებს, სამსახურეობრივი ქცევის სტანდარტებს, სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების, ასევე თანამშრომელთა წახალისების და დისციპლინარული სასჯელის წესს, ასევე კომპანიასა და თანამშრომლებს შორის მოქმედი შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სხვა საკითხების მარეგულირებელ პროცედურებს.

ადამიანური რესურსების მართვა

წინამდებარე პროცედურა ადგენს ფოთის თიზ-ის თანამშრომელთა შერჩევის, დანიშვნის, ადაპტაციისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების წესებს. აღნიშნული პროცედურის მიზანს წარმოადგენს:

- კომპანიის საკადრო პოლიტიკის შემუშავება;
- კომპანიის დაკომპლექტება კვალიფიციური, კომპეტენტური, პროფესიონალურად მომზადებული კადრებით;
- კომპანიის პერსონალის შრომის, სწავლების, ცოდნის შემოწმების სწორი და დროული ორგანიზება.

საქმისწარმოების ერთიანი წესი

აღნიშნული პროცედურა ადგენს კომპანიის დოკუმენტური უზრუნველყოფის ერთიან წესს, რომელიც მოიცავს მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირებას, დოკუმენტბრუნვის ორგანიზებას, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზებას, დოკუმენტების მომზადებას შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის.

შესყიდვის ორგანიზების პროცედურა

წინამდებარე პროცედურა არის ნორმატიული დოკუმენტი და ადგენს კომპანიაში საქონლის/მომსახურების/სამუშაოს შესყიდვის წესებს. შესყიდვის პროცედურას მართავს ფოთის თიზ-ის ადმინისტრაციის დეპარტამენტი, რაც გულისხმობს კომპანიის მიერ შესასყიდი პროდუქციის დადგენილ ვადებში და მისაღები ფასებით შესყიდვის უზრუნველყოფის მიზნით, მომწოდებლის არჩევის, შეფასების, შესყიდვების შემოწმების, აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოების ორგანიზებას და კონტროლს.

ინფორმაცია ფოთის თიზ-ის მფლობელთა შესახებ

75% - შპს „სი ი ევ სი“ (ევროაზიური), ს/კ: 404518713; (75% წილის მმართველია შპს „ევრო-აზიური მენეჯმენტ ჯგუფი“, ს/კ: 404553050);

15% - სახელმწიფო ორგანო „რას ალ ხაიმას საინვესტიციო ორგანო“; არაბთა გაერთიანებული საემიროები;

10% - სახელმწიფო, 203840433;

ფოთის თიზ-ის პრიორიტეტები

ფოთის თიზ-ის სტრატეგიული ლოგისტიკური მდებარეობა, ფოთის პორტთან და სარკინიგზო მაგისტრალთან პირდაპირი კავშირი, კონკურენტუნარიანი საოპერაციო ხარჯები, ბიზნესის რეგისტრაცია/მართვის მარტივი და სწრაფი პროცესი, თავისუფალი საგადასახადო სივრცე რეგიონის მასშტაბით პრიორიტეტულს ხდის ფოთის თიზ-ს ინვესტიორებისთვის, რომლებიც გეგმავენ თავიანთი ბიზნეს საქმიანობის დაწყება/განვითარებას დსთ-ს, ევროპის და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სტრატეგიული ადგილმდებარეობის და შეღავათიანი საგადასახადო გარემოს წყალობით, ფოთის თიზ-ი უკვე გახდა სადისტრიბუციო ცენტრი და სავაჭრო რეგიონალური კორიდორი სხვადასხვა ტვირთებისთვის, მათ შორის ფარმაცევტული პროდუქცია, ინდუსტრიული, მძიმე სამშენებლო და სოფლის მეურნეობის ტექნიკა, საბურავები, ავტომანქანების ნაწილები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, კვების პროდუქტები, სამშენებლო მასალები, ტექსტილი და სხვა.

ინვესტორი კომპანიები აქტიურად განაგრძობენ საქმიანობას ფოთის თიზ-ში, და გეგმავენ შემდგომ განვითარებას საწარმოო და სავაჭრო კუთხით.

ფოთის თიზ-ი განსაკუთრებულად პრიორიტეტულია მწარმოებელი კომპანიებისთვის, რომლებიც სარგებლობენ მიწის იჯარით გრძელვადიანი პერიოდით და შეღავათიან ფასად. თიზ-ისთვის მინიჭებული საგადასახადო შეღავათებით, წარმოშობის სერთიფიკატის შერჩევითი მიღების შესაძლებლობით, გამარტივებული საბაჟო პროცედურებით და სწრაფი მიწოდების პირობებით, მწარმოებლები მომხმარებელს წარმოებულ პროდუქტზე კონკურენტუნარიან ფასებს სთავაზობენ.

ჩვენი გუნდი

2020 წლის 24 მაისის მონაცემებით, ფოთის თიზ-ში და მის შვილობილ კომპანიაში დასაქმებულია 21 კვალიფიცირებული, პროფესიონალი და მოტივირებული ადამიანი, რომლებიც გადანაწილებული არიან თბილისის და ფოთის ოფისებში.

ფოთის თიზ-ის თანამშრომელთა უმრავლესობა კომპანიაში მუშაობს დაფუძნების დღიდან და აქვს ინვესტორებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება. თანამშრომლები ეტაპობრივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს/კურსებს საკანონმდებლო, საგადასახადო, საბაჟო და უსაფრთხოების მიმართულებით, ხოლო ტრენინგებზე მიღებულ ცოდნას უზიარებენ გუნდის სხვა წევრებს. კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომელს უფინანსდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრენინგო-სასემინარო კურსები.

ჩვენი გუნდი აქტიურად თანამშრომლობს თითოეულ ინვესტორთან, სთავაზობს მათთვის ხელსაყრელ ბიზნეს-წინადადებებს და მუდმივად ცდილობს ბიზნესისთვის საუკეთესო პირობების და ინფრასტრუქტურის შექმნას ერთ სივრცეში.

ფოთის თიზ-ი ქმნის თანამშრომლებზე ორიენტირებულ, კარიერული განვითარებისკენ მიმართულ, თანასწორი სამუშაო სტანდარტის მქონე გარემოს, თანამშრომელთა მოტივაციის კუთხით, რომლის გამოვლენას ვცდილობთ ადექვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემის და სხვა სამოტივაციო ღონისძიებების გამოყენებით.

ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო

ჩვენი კომპანია დაფუძნების დღიდან მუდმივად სთავაზობს თანამშრომლებს ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო პირობებს, დაკისრებული მოვალეობების წარმატებით შესრულებისთვის და კარიერული განვითარებისათვის.

ამასთან დაკავშირებით უზრუნველყოფთ თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას და უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნას, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს შრომითი კოდექსი და ფოთის თიზ-ის შიდა შინაგანაწესი.

ჩვენი კომპანია მუდმივად ცდილობს დანერგოს საერთაშორისოდ აღიარებულის საუკეთესო პრაქტიკა, თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად.

კომპანიის შენობებში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა; თანამშრომლებს უტარდება ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კომპანიაში გვყავს უსაფრთხოების ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების საკითხების მართვაზე.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი გასწევს ზარალს მისი მომხმარებლების, კლიენტების ან კონტრაქტების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვერ/არ შესრულების გამო. 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ ფლობს საკრედიტო რისკზე დამოკიდებულ სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივს, გარდა:

- ფულადი სახსრები ბანკებში:

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა მესამე მხარის ბანკში განათავსა 3,914 ლარი და 3,082 ლარი, რომლისთვისაც Moody's სარეიტინგო სააგენტოს მინიჭებული აქვს B1/NP (FC) და Ba3/NP (LC), ხოლო „Fitch“-ის სააგენტოს BB-/B რეიტინგი.

- დებიტორული დავალიანება:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დებიტორული დავალიანებაზე ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის შემდეგი სახის ზემოქმედებას:

	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	4%	8%	14%	40%	
სულ მოსალოდნელი მთლიანი თანხა	250	237	65	877	1,429
რეზერვის თანხა	(9)	(19)	(9)	(350)	(387)
სულ დებიტორული დავალიანება	241	218	56	527	1,042

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის დებიტორულმა დავალიანებამ მთლიანობაში 284 ლარი შეადგინა, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიუახლოვდა მათ სამართლიან ღირებულებას და დებიტორულ დავალიანებასთან მიმართებაში გაუფასურება არ აღიარებულა. 2019 წელს ჯგუფმა აღიარა გაუფასურების რეზერვი 387 ლარის ოდენობით. გადახდის ვადები 5-დან 30 კალენდარულ დღემდეა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დებიტორული დავალიანებაზე ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის შემდეგი სახის ზემოქმედებას:

	<30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	>90 დღე	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	4%	12%	14%	25%	
სულ მოსალოდნელი მთლიანი თანხა	224	164	70	609	1,067
რეზერვის თანხა	(9)	(19)	(9)	(150)	(187)
სულ დებიტორული დავალიანება	215	145	61	459	880

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 6 ლარი, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიუახლოვდა მათ სამართლიან ღირებულებას და დებიტორულ დავალიანებასთან მიმართებაში გაუფასურება არ აღიარებულა. 2019 წელს კომპანიამ აღიარა 187 ლარის გაუფასურება. გადახდის ვადები 5-დან 30 კალენდარულ დღემდეა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შეასრულოს ყველა საგადასახადო ვალდებულება, როდესაც მათი დაფარვის ვადა ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში დგება. ჯგუფის ლიკვიდურობის რისკს აკონტროლებს ხელმძღვანელობა.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულების დაფარვის ვადა 3 თვის ვადაშია, ხოლო სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები მათი საბალანსო ღირებულებების ტოლია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება იმერყევებს საბაზრო არსებული ისეთი ცვლილების გამო, როგორიც არის საპროცენტო განაკვეთები და უცხოური ვალუტის კურსები. ჯგუფის ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე არ ვრცელდება მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი.